სსიპ საპენსიო სააგენტოს

ეთიკის კოდექსი

მუხლი 1. მიზანი და მოქმედების სფერო

1. სსიპ საპენსიო სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) ეთიკის კოდექსი (შემდგომში – კოდექსი) ადგენს ქცევის ნორმებსა და სტანდარტებს, რომლებიც მიზნად ისახავს სააგენტოს საქმიანობის წარმართვას სამართლიანად, კანონიერად, მიუკერძოებლად, ობიექტურად, კვალიფიციურად, ეფექტურად, კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვით, დემოკრატიული პრინციპების, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემითა და დაცვით.
2. კოდექსი ვრცელდება და სავალდებულოა სააგენტოს ყველა თანამშრომლისათვის, მათ შორის სააგენტოს დირექტორისა და მისი მოადგილეებისათვის და წარმოადგენს სააგენტოსა და თანამშრომელს შორის არსებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება ვალდებულია უზრუნველყოს სააგენტოს ყველა თანამშრომლისათვის, მათ შორის სააგენტოს დირექტორისა და მისი მოადგილეებისათვის მისი გაცნობა, რაც დადასტურებული უნდა იყოს ხელმოწერით; წერილობითი დადასტურება კოდექსის გაცნობასთან დაკავშირებით ინახება შესაბამისი თანამშრომლის პირად საქმეში.
3. ეს კოდექსი არ შეიძლება ვიწროდ იქნეს განმარტებული. მისი დებულებები სრულად გამოიყენება ისეთი ქცევის მიმართ, რომლებიც კოდექსში არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავის თავად გამომდინარეობს ამ კოდექსის პრინციპებიდან.

მუხლი 2. გავლენისაგან თავისუფლება

1. სააგენტოს თანამშრომელი თავისუფალია ნებისმიერი სხვა თანამდებობის (გარდა სააგენტოს დირექტორისა და სათანადოდ უფლებამოსილი სხვა ხელმძღვანელი პირების) სტატუსისა თუ პროფესიის მქონე პირის გავლენისაგან და ემორჩილება მხოლოდ კანონს.
2. სააგენტოს თანამშრომელი სრულ პასუხისმგებლობას იღებს თავის ნებისმიერ ქმედებაზე – როგორც სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში, ისე მის გარეთ. დაუშვებელია საკუთარ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის მოხსნა.
3. დაუშვებელია წინასწარი შეცნობით მართლსაწინააღმდეგო დავალების ან განკარგულების შესრულება. ამგვარი მითითების შემთხვევაში, თანამშრომელმა უარი უნდა თქვას დავალების შესრულებაზე, აცნობოს სააგენტოს დირექტორს და იმოქმედოს კანონის ფარგლებში.

მუხლი 3. პოლიტიკური საქმიანობა

სააგენტოს თანამშრომელი ვალდებულია თავი შეიკავოს რომელიმე პოლიტიკური პარტიისა თუ გაერთიანების მიმართ საკუთარი დამოკიდებულების აშკარა დემონსტრირებისა და

საჯაროდ გამოხატვისაგან, პარტიული მიზნებისათვის ორგანიზებულ საქმიანობაში მონაწილეობისგან, რამდენადაც ამან შეიძლება ზიანი მიაყენოს სააგენტოს საქმიანობას.

მუხლი 4. ურთიერთობა მესამე პირებთან

1. სააგენტოს თანამშრომელს სრულად უნდა ჰქონდეს გათვითცნობიერებული, რომ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დროს ის წარმოადგენს სააგენტოს მოქალაქეებთან, საჯარო და კერძო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ურთიერთობისას. სამუშაოს შესრულებისას მისი ქცევა და ჩაცმულობა, უნდა შეეფერებოდეს სააგენტოს იმიჯსა და შინაგანაწესით განსაზღვრულ ნორმებს.
2. სააგენტოს თანამშრომელი სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში მოქალაქეებთან, კოლეგებთან, საჯარო და კერძო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ურთიერთობისას თავისი ქცევით უნდა ავლენდეს კეთილგანწყობას, პროფესიონალიზმს, თავიაზიანობას, დროსა და რესურსს უნდა იყენებდეს რაციონალურად და ეფექტურად რაიმე სახის მიკერძოების გარეშე.
3. სააგენტოს თანამშრომელმა სხვა პირებთან ურთიერთობისას:

ა) თავი უნდა აარიდოს პირადი თუ სხვა სახის კონფლიქტების წარმოშობას ან გაღვივებას;

ბ) თავი უნდა შეიკავოს სხვის პირად ცხოვრებაში ჩარევისაგან;

გ) წინასწარ განზრახულად არ უნდა შეიყვანოს სხვა პირი შეცდომაში;

დ) ტაქტიანად უნდა გამოხატავდეს საკუთარ მოსაზრებებს. დაუშვებელია ქედმაღლური მიმართვა, მუქარა, ირონია, ჟარგონის გამოყენება და ფამილარული ტონით საუბარი.

4. სააგენტოს თანამშრომელი ვალდებულია პატივი სცეს სხვა პირის სიტყვის, აზრისა და გამოხატვის თავისუფლებას.
5. დაუშვებელია ისეთი შეხედულებების გამოხატვა ან ქმედება, რომლებიც მიზნად ისახავს სხვა პირის უფლების შეზღუდვას ან მისთვის შეურაცხყოფის მიყენებას რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, სექსუალური ორიენტაციის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური თუ სოციალური კუთვნილების, განათლების, წარმომავლობის, ქონებრივი, წოდებრივი თუ სხვა რაიმე ნიშნით.

მუხლი 5. ურთიერთობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან

1. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებითა და საჯარო გამოსვლების დროს გაკეთებული ოფიციალური წერილობითი ან სიტყვიერი განცხადებები, რომლებიც შესაძლოა გაკეთებულ იქნას სააგენტოს დირექტორთან წინასწარი შეთანხმებით, უნდა იყოს საქმიანი და კარგად გააზრებული.
2. სააგენტოს თანამშრომელმა მხედველობაში უნდა მიიღოს ის ფაქტი, რომ ეს განცხადებები ყოველთვის განიმარტება როგორც სააგენტოს პოზიცია.

მუხლი 6. რესურსების ქმედითი გამოყენება

1. სააგენტოს თანამშრომელმა მისთვის ხელმისაწვდომი ფინანსური და მატერიალური რესურსები უნდა განკარგოს დანიშნულებისამებრ, ეკონომიურად და ქმედითად.
2. სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას, სააგენტოს თანამშრომელი ვალდებულია გაუფრთხილდეს სახელმწიფო ქონებას და იყენებდეს მას მხოლოდ სამსახურებრივი მიზნებისათვის.
3. სააგენტოს თანამშრომელი ვალდებულია, სააგენტოს აუნაზღაუროს მისი ბრალეული ქმედებით მიყენებული მატერიალური ზიანი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. კონფიდენციალობა და ინფორმაციის მართვა

1. სააგენტოს თანამშრომელი მისთვის სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში მიწოდებულ ინფორმაციას, რომლითაც შესაძლებელია მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიცირება, განიხილავს კონფიდენციალურ ინფორმაციად მანამ, სანამ არ გაჩნდება ამგვარი ინფორმაციის საჯაროობის კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნა.
2. სააგენტოს თანამშრომელს არ აქვს უფლება გაამჟღავნოს ან არასამსახურებრივი მიზნებისათვის გამოიყენოს სახელმწიფო, კომერციული საიდუმლოების ან პერსონალური მონაცემების შემცველი ან სხვაგვარი კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას.
3. თანამშრომელმა არ უნდა დაუშვას, რომ მის წარმოებაში არსებული საქმე გასაცნობად ხელმისაწვდომი იყოს სხვა პირისათვის და არ უნდა აწარმოოს კონფიდენციალური საუბარი სხვა პირთა თანდასწრებით.
4. სააგენტოს თანამშრომელი ვალდებულია, დაიცვას მისთვის განდობილი ინფორმაციის კონფიდენციალურობა სააგენტოში მუშაობის დასრულების შემდეგაც.

მუხლი 8. დისკრიმინაციის აკრძალვა და არასათანადო ქცევის შეტყობინება

1. სააგენტოში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი, კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით.

2. დისკრიმინაციად (მათ შორის, სექსუალურ შევიწროებად) მიიჩნევა პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას და მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან

შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით.

3. დისკრიმინაციად არ ჩაითვლება პირთა განსხვავების აუცილებლობა, რომელიც გამომდინარეობს სამუშაოს არსიდან, სპეციფიკიდან ან მისი შესრულების პირობებიდან, ემსახურება კანონიერი მიზნის მიღწევას და არის მისი მიღწევის თანაზომიერი და აუცილებელი საშუალება.

4. სააგენტოს დირექტორი და სხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე მყოფი პირები, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ახდენენ რეაგირებას და მაღალი მგრძნობელობითა და კონფიდენციალობის სრული დაცვით ეპყრობიან დისკრიმინაციის ნებისმიერი ფაქტის აღმოფხვრისკენ მიმართულ ნებისმიერ განხილვას, კომუნიკაციასა თუ ქმედებას

5. სააგენტოს თანამშრომელი ვალდებულია, სააგენტოს დირექტორს შეატყობინოს ნებისმიერი ქმედების/მოვლენის შესახებ, რომელიც ხორციელდება მისი ან სააგენტოს სხვა თანამშრომლის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით და კავშირშია შემდეგთან:

ა) კანონის დარღვევა, განსაკუთრებით სისხლის სამართლის დანაშაული, „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის, წინამდებარე კოდექსის ან ნებისმიერი სხვა საკანონმდებლო აქტის, ან/და სააგენტოს დებულების დარღვევა;

ბ) ზემოქმედება სააგენტოს თანამშრომელზე, რომელიც მას აიძულებს ან წაახალისებს უკანონო ან არაეთიკური ქმედების ჩადენისაკენ, მათ შორის ამ კოდექსის პრინციპების დარღვევა;

გ) ქმედება, რომელიც უკავშირდება სახელმწიფო ქონების ან რესურსების არამიზნობრივად ან თაღლითურად გამოყენებას.

6. აკრძალულია დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა ან / და მის მიმართ ნებისმიერი სახის უარყოფითი მოპყრობა და მასზე ზემოქმედება იმის გამო, რომ დასაქმებულმა წინამდებარე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ქმედებების თაობაზე შეატყობინა დირექტორს.

მუხლი 9. შეუფერებელი მდგომარეობა

სააგენტოს თანამშრომელი, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, არ უნდა იმყოფებოდეს ალკოჰოლური თუ სხვა ძლიერმოქმედი ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ან სხვა მდგომარეობაში, რომელიც შეუფერებელია სააგენტოს თანამშრომლისათვის.

მუხლი 10. პროფესიონალიზმი და ეფექტიანობა

1. სააგენტოს თანამშრომელი უნდა ისწრაფვოდეს კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების დახვეწისაკენ. მან კეთილსინდისიერად და სრულყოფილად

უნდა შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები და ძალისხმევა მიმართოს არსებული რესურსით მაქსიმალური შედეგის მისაღწევად.
2. სააგენტოს თანამშრომელი კომპეტენციის ფარგლებში, უნდა იღებდეს სამართლიან და ობიექტურ გადაწყვეტილებებს, უნდა ზრუნავდეს მუშაობის პროცესში დაშვებული შეცდომების დროულ გამოსწორებაზე, საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას სრულად უნდა იყენებდეს სააგენტოს მიზნების მისაღწევად.

მუხლი 11. კოლეგიალობა

1. სააგენტოს თანამშრომელი პატივისცემით უნდა ექცეოდეს კოლეგებს და მათ საქმიანობას, კოლეგებთან ურთიერთობისას უნდა დაიცვას საყოველთაოდ აღიარებული ეთიკის ნორმები და ხელი შეუწყოს ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნას.
2. სააგენტოს თანამშრომელი ვალდებულია:

ა) ყოველდღიურ საქმიანობაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში პატივი სცეს კოლეგების აზრს, უფლებამოსილებებს და შესასრულებელ ან შესრულებულ სამუშაოს, მაქსიმალური ძალისხმევა გამოიჩინოს პირადი უთანხმოებისა და კონფლიქტის თავიდან ასარიდებლად;

ბ) პირნათლად შეასრულოს კოლეგებთან სამსახურებრივ საკითხებზე დადებული ფორმალური ან არაფორმალური შეთანხმებები და აცნობოს კოლეგებს მათი შესრულების შესახებ. სამუშაოს ეფექტურად შესრულების მიზნით დროულად მიაწოდოს კოლეგებს მის ხელთ არსებული ინფორმაცია;

გ) თხოვნის შემთხვევაში და კომპეტენციის და შესაძლებლობების ფარგლებში, დაეხმაროს კოლეგებს სამუშაოს შესრულებაში.

მუხლი 12. პასუხისმგებლობა კოდექსის დარღვევისათვის

1. ამ კოდექსის ნორმების დარღვევის ფაქტებს სააგენტოს შინაგანაწესით განსაზღვრული დისციპლინური წარმოების შესაბამისად შეისწავლის და განიხილავს დისციპლინური კომისია.

2. დარღვევის სიმძიმისა, სიხშირის და სხვა ობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით სააგენტოს დირექტორის მიერ შესაძლოა მიღებულ იქნას გადაწყვეტილება დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიებების გამოყენების თაობაზე სააგენტოს შინაგანაწესით გათვალისწინებული წესითა და პირობებით.

მუხლი 13. კოდექსში ცვლილებები და დამატებები

კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების შემთხვევაში სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება ვალდებულია უზრუნველყოს სააგენტოს ყველა თანამშრომლისათვის ასეთი ცვლილება ან/და დამატების გაცნობა, რაც დადასტურებული უნდა იყოს თანამშრომლის ხელმოწერით; თანამშრომლის წერილობითი დადასტურება კოდექსში ცვლილების/დამატების გაცნობასთან დაკავშირებით ინახება თანამშრომლის პირად საქმეში.